ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ხათუნა სამნიძის 2015 წლის ანგარიშს.

საკრებულოს წევრი ხათუნა სამნიძე

N-10/18508 02.11.15

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ხათუნა სამნიძის

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

2015 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 სხდომა. საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 101 დადგენილება და 380 განკარგულება.

მონაწილეობის მიღება:

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომა;
- ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის 10 სხდომა;

შესწავლილი საკითხები:

1. პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 4.4 (თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში)

2. პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 4.8 ფარგლებში სუვენირებისა და საიმიჯო მასალებისშესყიდვა და გავრცელება
3. პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 4.1 მცირე და საშუალო ბიზნესის, მეწარმეების (მ.შ. სოციალური) ფინანსირების ფონდი
4. პროგრამის/ქვეპროგრამისკოდი:4.1 ბიზნეს-კონსულტაციები მეწარმეებისათვის
5. პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 4.1 სოციალური მეწარმეებისა და შშმ პირების საქმიანობის წარმოჩენა და ხელშეწყობა
6. პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 4.8 ტურისტული ღირშესანიშნაობების აღჭურვა ბარკოდებით "მობილური გიდის" ფარგლებში
7. პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 4.8 თბილისის მარკეტინგული ლოგო და სუვენირი (კონკურსი)
8. პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 4.8 ტურიზმის სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების ხელშეწყობა
9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის" დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
10. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ

11. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

12. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

13. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
15. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილედ (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

2015 წლის მაისიდან გარემოს დაცვის კომისიის 5 სხდომა; 15 შესწავლილი საკითხი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (8 პროექტი).

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

3. თბილისის ტერიტორიაზე „პოეტების ხეივნის“ განაშენიანება-მოწყობის თაობაზე მოქალაქე ეკა ქურხულის ა/წლის 8 ივნისის #10699 განცხადების შესახებ.

4. კომისიამ განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო მიმდინარე წლის 13 ივნისს, ქ. თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად, უსაფრთხოების მიზნით, პრევენციული ზომების განსახორციელებლად აუცილებელი ნალექმზომი და წყლის დონის მზომი სპეციალური ტექნიკის შეძენის თაობაზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელე ბის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო მონაცემთა შეკრებას მოსალოდნელი ნალექისა და წყლის დონის განსაზღვრის მიზნით. გაცემული წერილობითი თანხმობის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა შემდეგი სპეც.ტექნიკის შეძენა და შემდგომ, დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში მათი მონტაჟი:

- წყლის დონის მზომი სადგური (3 ერთეული);
- ნალექზომი სისტემა (4 ერთეული);
- GSM/Modem ანტენით (15 ერთეული);
- დატალოგების ყუთი (15 ერთეული);
- მზის პანელი 30 ვტ. სამაგრით (4 ერთეული);
- დამტენი მოწყობილობა (4 ერთეული).

5. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის უფროსის ლევან ერიქაშვილის ა/წლის 03/11621 წერილის შესახებ
6. გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიში ა/წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მომ-ხდარი სტიქიური უბედურების შედეგების გამომწვევი მიზეზებისა და შემდგომი სამუშაოების ჩატარების შესახებ

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 წწ." - კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგიის" პროექტი განხილული და დამტკიცებულ იქნა საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე.

8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონი დიმიტრი ქუმსიშვილის მიერ, ა/წლის 18 აგვისტოს, #04/15192 წერილით ქალაქ თბილისის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად გადმოგზავნილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტების შესახებ.

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" 12 სხდომა; შესწავლილი საკითხები:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამაში ცვლილებების შეტანა, განხილვა.
2. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო პირების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები და რეალური პრაქტიკული მდგომარეობა.
3. 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, დაზიანებული სახლების მობინადრეთა ბინის ქირის საერთო რაოდენობა.

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრაზე განსახილველი საკითხების მომზადება.
5. საკრებულოს სხდომაზე განსახილველი მიმდინარე საკითხები
6. 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

7. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების დაკანონება, სხვა ალტერნატიული საცხოვრებლის არმქონე ფაქტობრივი მფლობელებისა და მოსარგებლეებისათვის.
8. თვითმმართველობაში ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ.
9. ეკოლოგიური დაბინძურება დედაქალაქში.
10. პირველადი ჯანდაცვის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა.
11. ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემები, გადაჭრის გზები, გრძელვადიანი განვითარების ხედვა.
12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის გიორგი გაგოშიძის ანგარიში ქალაქში არსებული სატრანსპორტო პრობლემების შესახებ.

13. 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა კომპენსაციის წესის სამუშაო ვერსიის განხილვა.
14. სოციალური საცხოვრისების კონცეფცია (საერთაშორისო პრაქტიკა).
15. 30 ივნისის საკრებულოს სხდომის საკითხების განხილვა-შეჯამება.

16. 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრებელი სახლითა და სხვა კომპენსაციით უზრუნველყოფის წესის განხილვა.
17. საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის ინიცირება მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ.
18. სამუშაო შეხვედრა ურბანისტებთან

19. საბურთალოს გამგეობის მიერ შესრულებული მუშობის (01.08.2014 - 01.10.2015) ანგარიშის მოსმენა.

20. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ლევან თევზაიასა და საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილის ლევან მიქავას ანგარიშის მოსმენა.

- **საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია**

  ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ მიერ ინიცირებული საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:**

  თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“ მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფება მოქალაქეებთან. მიმდინარე 2015 წლის მანძილზე ფრაქცია აქტიურად ახორციელებდა მოქალაქეებთან შეხვედრებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოში მათ მიღებას, წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გასაუბრებას და კონსულტაციებს.

  მოქალაქეთა განცხადებებთან მიმართებით, ფრაქცია სხვადასხვა შუამდგომლობებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოებს, თვითმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:

✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურები;
✓ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები;
✓ საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურის და მეცნიერების კომიტეტი;
✓ თბილისის განვითარების ფონდი;
✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
✓ ქონების მართვის სააგენტო;
✓ თბილისის სატრანსპორტო კომპანია;
✓ საჯარო სამსახურის ბიურო.

- სხვა სახის ინფორმაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პოლიტიკოს ქალთა ტრენინგი - ,,ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერები - ქალთა გაძლიერება პოლიტიკაში" (Local Political Leaders – Capacitating Women in Politics), რომლის ორგანიზატორია ,,შვედეთის საერთაშორისო ცენტრი - ადგილობრივი დემოკრატიისთვის".

საკრებულოს წევრი *ხათუნა სამნიძე*